1974/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი-დეკემბერი

1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი — დეკემბერი 1974 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

94. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გაერთიანების შესახებ
95. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

96. „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
97. ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის წესის შესახებ
98. საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის სამსახურის შექმნის შესახებ
99. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტის შემუშავების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

100. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ივნისის № 305 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ

101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

102. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 მაისის № 242 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.

103. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) წესების დამტკიცების შესახებ

104. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატისათვის სულხან-საბა ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ

105. „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

106. ჯანმრთელობის დაცვის ხაზით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად დამატებითი საკითხების გადაცემის შესახებ

107. თბილისის კომუნალური გაერთიანების შესახებ

108. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

109. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

110. საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და ნომენკლატურის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

94 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გაერთიანების შესახებ

ერთ ორგანოში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებისადმი ხელმძღვანელობის კონცენტრაციის და სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში ერთიანი პოლიტიკისა და ღრმა სპეციალიზაციის განხორციელების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაერთიანდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ერთიან საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ და ეწოდოს მას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტი აღნიშნულ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიტანოს ბრძანებულების პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა და საშტატო განრიგი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 23 დეკემბერი, № 679

95 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

ბუნების დაცვის ღონისძიებათა გაძლიერების, ბუნების დაცვის კანონის, ამ საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ყოველდღიური კონტროლის განხორციელების, აგრეთვე რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების დაცვასთან, გამოყენებასთან და კვლავწარმოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის კოორდინაციის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

2. მოწონებულ იქნეს პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნული სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 23 დეკემბერი, № 680

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

96 „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების“ გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 4 ივნისის № 304 დადგენილების თანახმად მასზე გავრცელდა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა საერთო დებულება, შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილებაში:

1. 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საწარმოთა ბალანსიდან მორალურად მოძველებული საქალაქო ტრანსპორტის, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოძრავი შემადგენლობის ჩამოწერა ყველა ქალაქში, გარდა ქალაქ თბილისისა, ხდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამოირიცხოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აპრილის № 172 დადგენილების დანართის მე-6 განაყოფიდან ქ. თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წლის 5 ნოემბერი, № 597.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97 ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდებით მეურნეობათა დაინტერესების გაძლიერების მიზნით დაწესდეს, მოყოლებული 1974 წლის მოსავლიდან, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ციტრუსოვანთა ნაყოფის შემდეგი შესასყიდი ფასები:

(1 ტონაში)

	სტანდარტული	არასტანდარტული
მანდარინი	850 მანეთი	140 მანეთი
პირველი პომოლოგიური ჯგუფის ფორთოხალი	850 მანეთი	150 მანეთი
მეორე პომოლოგიური ჯგუფის ფორთოხალი	650 მანეთი	150 მანეთი

2. დაწესდეს, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო მეურნეობებსა და მოსახლეობაში, აგრეთვე მის რეალიზაციას ახორციელებენ ცეკავშირის დამამზადებელი ორგანიზაციები, გარდა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც უშუალოდ გზავნიან ციტრუსოვანთა ნაყოფს, და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისა, რომლებიც უშუალოდ გზავნიან ციტრუსოვანთა ნაყოფს ცეკავშირის განრიგების მიხედვით. აეკრძალოს ეს ოპერაციები ყველა დანარჩენ ორგანიზაციასა და უწყებას.

3. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო მეურნეობებსა და მოსახლეობას ციტრუსოვანთა ნაყოფის გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე და სხვა ადგილებში, აგრეთვე მისი გატანა სარეალიზაციოდ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ამ დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესისა და პირობების დაუცველად.

4. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დამრღვევნი, მათ შორის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მიეცემიან ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც არის სატრანსპორტო საშუალებანი, არ დაუშვან ციტრუსოვანთა ნაყოფის გადაზიდვა ცეკავშირისა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განრიგების წარუდგენლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილებით განსაზღვრული ციტრუსოვანთა ნაყოფის გატანისა და გაყიდვის წესებისა და პირობების დაცვას.

7. ცეკავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ:

არ დაუშვან სახალხო-სამეურნეო გეგმით დაწესებული ოდენობის გადამეტებით დამზადებული ციტრუსოვანთა ნაყოფის მიწოდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად;

წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი ამ ნაყოფის გამოყენების შესახებ.

8. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 ოქტომბრის № 605 დადგენილება „ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების ღონისძიებათა შესახებ“.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნუსხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს მანდარინისა და ფორთოხლის შესასყიდი ფასების ნაწილში იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დადგენილებით დაწესდა მანდარინისა და ფორთოხლის ახალი შესასყიდი ფასები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1974 წ. 1 ნოემბერი, № 608

98 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეოგათაშორისო ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის სამსახურის შექმნის შესახებ[1])

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 5 ივლისის № 373 დადგენილების მე-4 პუნქტისა და 1974 წლის 15 ივლისის № 394 დადგენილების მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების, გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენების, ობიექტე-

[1]) დანართები არ მოიყვანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების დაცვის, პროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებით დროულად უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან არსებული ტექზედამხედველობის ჯგუფების (განყოფილებების) ბაზაზე, ტექზედამხედველობისათვის გათვალისწინებული ანარიცხების ხარჯზე შექმნას კაპიტალური მშენებლობის განყოფილებები სამეურნეო ანგარიშზე ერთიანი შემკვეთის ფუნქციით, ხოლო ამ განყოფილებათა ხელმძღვანელობის განსახორციელებლად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველოსთან არსებული (სამეურნეო ანგარიშზე მყოფი) ტექზედამხედველობის ჯგუფი გარდაქმნას საწარმოო-ტექნიკურ განყოფილებად და მისი შტატი განსაზღვროს 10 ერთეულით;

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველო გარდაქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებში მშენებლობის მთავარ სამმართველოდ და დაუმატოს მას სამი საშტატო ერთეული 305 მანეთი თვიური ხელფასის ფონდით, № 1 დანართის თანახმად.

რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან შექმნილი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებების ხელფასების განსაზღვრისას იხელმძღვანელოს მის მიერ დამტკიცებული სანიმუშო საშტატო განრიგით, რომელიც მოწონებულია საქართველოს სსრ საკოლმეურნეო საბჭოს მიერ 1974 წლის 19 სექტემბერს;

გ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური საბჭოს მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების განხილვის საქმეში წესრიგის დასამყარებლად თავის ცენტრალურ აპარატში შექმნას ექსპერტიზის განყოფილება ექვსი საშტატო ერთეულით, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების ცენტრალურ აპარატებში — საექსპერტო ჯგუფები ორ-ორი საშტატო ერთეულით (ერთი უფროსი ექსპერტი და ერთი ექსპერტი);

დ) „გ“ ქვეპუნქტში მითითებული 10 საშტატო ერთეულისა და აგრეთვე კოლმეურნეობებში მშენებლობის მთავარი სამმართველოს სამი ერთეულის შესანახი ხარჯების დასაფარავად შეამციროს რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებში არსებული უფროსი ინჟინერ-მშენებლისა და ინჟინერ-მშენებლის 17 საშტატო ერთეული და მათი შესანახი ხარჯები № 2 დანართის თანახმად, აქედან 13 საშტატო ერთეული გამოყენებულ იქნეს ზემოაღნიშნული ღონისძიების გასატარებლად, ხოლო დანარჩენი ერთეულები — სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რაიონულ სამმართველოებში სხვა თანამდებობათა (ინჟინერ-მელიორატორი, ეკონომისტი, ზოოტექნიკოსი, უფროსი აგრონომი) შემოსაღებად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დამტკიცოს რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან ახლად შექმნილი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებათა დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 დეკემბერი, № 613

99 საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების შესახებ[1])

„საქართველოს სსრ სოფლების მშენებლობის გაუმჯობესებისა და გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 ივლისის № 450 დადგენილების შესასრულებლად და რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესამუშავებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემუშავდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები, № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება დაეკისროს „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტს, ხოლო კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება — ქ. თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტს, „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტს, „საქკოლმეურნმშენპროექტის“ ინსტიტუტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროებს, № 3 დანართის თანახმად, ხოლო საჭიროების კვალობაზე — სხვა საპროექტო ორგანიზაციებს საქართველოს სსრ სახმშენის დავალებით.

[1]) დანართები არ მოიყვანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სასოფლო დასახლებული პუნქტების რაიონული დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობა და რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებისათვის საჭირო დახმარების გაწევა დაეკისროს „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტს.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და ქ. თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტს შეიმუშაონ საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და განაშენიანების რეკომენდაციები.

4. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების ადრე შემუშავებული პროექტების გადამუშავება და კორექტირება დაეკისროთ ამ პროექტების შემმუშავებელ საპროექტო ორგანიზაციებს.

საბჭოთა მეურნეობების დაბების ადრე შემუშავებული პროექტების გადამუშავება და კორექტირება განხორციელდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განაცხადების მიხედვით, ხოლო კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა პროექტებისა — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომების განაცხადების მიხედვით კოლმეურნეობათა განაცხადების საფუძველზე.

5. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ ყოველწლიურად მისცეს 1 დეკემბრამდე „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტს საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებული საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების მომდევნო წლის სატიტულო სია.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყოველწლიურად 1 დეკემბრამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმშენს მომდევნო წლის განაცხადები კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესამუშავებლად და უზრუნველყონ ამ სამუშაოთა დაფინანსება შესაბამის კოლმეურნეობათა სახსრებით, ხოლო საქართველოს სსრ სახმშენმა განაცხადების შემოსვლის კვალობაზე გაანაწილოს ისინი საპროექტო ორგანიზაციებს შორის.

7. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარების და განაშენიანების პროექტების შემუშავებისადმი და კონტროლი შესაბამის კოლმეურნეობათა საფინანსო გეგმებში ამ პროექტების შემუშავების სახსრების შეტანისადმი, აგრეთვე კოლმეურნეობების მიერ საპროექტო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებათა დროულად დადებისადმი.

8. დაწესდეს, რომ:

— საბჭოთა მეურნეობების დაბების დაპროექტების დავალებებს გასცემენ **საბჭოთა მეურნეობები**, შეათანხმებენ მშრომელთა დეპუტატების რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული საბჭოების აღმასკომებთან და დაამტკიცებენ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შესაბამისი ტრესტები;

— კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაპროექტების დავალებებს გასცემენ კოლმეურნეობები და დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომები;

— საბჭოთა მეურნეობების დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს შეათანხმებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და დაამტკიცებს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო;

— კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს განიხილავენ და დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომები.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 დეკემბრის განკარგულების შესაბამისად საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების 1975 წლის გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ აღნიშნული პროექტების შემუშავების დამთავრება საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში განლაგებული ყველა პერსპექტიული სასოფლო დასახლებული პუნქტისათვის.

10. ამ დადგენილების შესრულების მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გამოუყოს შესაბამის საპროექტო ორგანიზაციებს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით საპროექტო-საძიებო სამუშაოთა საჭირო ლიმიტები იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს № 1 და 2 დანართებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას.

11. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით ყოველწლიურად დააზუსტონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოთა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების რიგითობა.

12. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 25 ნოემბერი, № 618

100 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ივნისის № 305 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ

„რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობის მართვის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 29 მაისის № 287 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ივნისის № 305 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულებაში შემდეგი დამატებანი:

— 1-ლ პუნქტში:

მეორე აბზაცს სიტყვების: „ხელმძღვანელობს სასოფლო მშენებლობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისა და მათი სამრეწველო საწარმოების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას“, და შემდეგ როგორც ტექსტშია:

მესამე აბზაცს სიტყვების: „იმ მშენებლობის მდგომარეობისათვის, რომელსაც ახორციელებენ საქვეუწყებო ორგანიზაციები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „მათ შორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები არსებული სისტემისა და ამ უკანასკნელთა მართვის ფორმის შენარჩუნებით“, და შემდეგ როგორც ტექსტშია;

— მე-5 პუნქტში:

„ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„კოორდინაციას გაუწევს „საქკოლმეურნმშენპროექტის“ ინსტიტუტის მუშაობას“;

„ე“ ქვეპუნქტს სიტყვების: „მექანიზაციის დონის ამაღლება და მშენებლობაში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „(მათ შორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ „საქსოფლმშენმექანიზაციის“ ტრესტის მეშვეობით განხორციელებულ მშენებლობაში)“, და შემდეგ როგორც ტექსტშია;

„კ“ ქვეპუნქტს სიტყვების: „და სხვა სპეციალიზებული ტრანსპორტით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „მათ შორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის „საქსოფლტრანსმშენის“ ტრესტის მეშვეობით“;

„ლ“ ქვეპუნქტს სიტყვების: „ერთიანი გეგმით სახელმწიფო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და საკოლმეურნეობათაშორისო“, და შემდეგ როგორც ტექსტშია:

„ო“ ქვეპუნქტს სიტყვების: „საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისა და მათი სამრეწველო საწარმოების“, და შემდეგ როგორც ტექსტშია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რ“ ქვეპუნქტს სიტყვების: „დაამტკიცებს მათ ანგარიშებსა და ბალანსებს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „მათ შორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მიხედვით“, და შემდეგ როგორც ტექსტშია;

მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე აბზაცი:

„საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამავე დროს არის საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქკოლმეურნმშენის“ თავმჯდომარე ამავე დროს არის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი, № 620

101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილების გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 სექტემბრის № 529 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-3 პუნქტის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 ნოემბერი, № 631

ეროვნული ბიბლიოთეკა

102 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 მაისის № 242 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 16 მაისის № 242 დადგენილების 1 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განთავისუფლებული ყველა ტიპის გაზ-69 მარკის ავტომობილები გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — გაერთიანებებს „აფხაზსოფლტექნიკას“, „აჭარსოფლტექნიკას“ და „სამხრეთ-ოსეთსოფლტექნიკას“ სათანადო ღირებულების გადახდით (ამორტიზაციის გამოკლებით).

„საქსოფლტექნიკამ“ აღნიშნული ავტომობილები საჭიროების მიხედვით შეაკეთოს სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად და მიჰყიდოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო უწყებებსა და ორგანიზაციებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაწილებით. გაერთიანებებმა „აფხაზსოფლტექნიკამ“, „აჭარსოფლტექნიკამ“ და „სამხრეთ-ოსეთსოფლტექნიკამ“ გაზ-69 მარკის ავტომობილები მიჰყიდოხ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო უწყებებსა და ორგანიზაციებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განაწილებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 ნოემბერი, № 639

ეროვნული ბიბლიოთეკა

103 საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) თანდართული წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 16 ოქტომბრის № 566 დადგენილება „საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) წესდების დამტკიცების შესახებ“ და 1972 წლის 15 აგვისტოს № 440 დადგენილება „საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) მოქმედ წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 2 დეკემბერი, № 641

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 2 დეკემბრის № 641
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოებისა (საქწყალმაშველი)

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება (საქწყალმაშველი) არის ნებაყოფლობითი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაიცვას ადამიანთა სიცოცხლე მდინარეებში, ტბებში, წყალსატევებში და შავიზღვისპირა უბნებში.

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების საქმიანობას საფუძვლად უდევს ეს წესდება და ხორციელდება პარტიული, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

2. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღებინოს ფართო საზოგადოებრიობას მოსახლეობას შორის ახსნა-განმარტებით და ორგანიზატორულ მუშაობაში წყალში უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

ბ) მოაწყოს საზოგადოების წევრებისა და მისი აქტივისათვის ცურვის სწავლება მდინარეებში, ტბებში და სხვა წყალსატევებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის;

გ) კოორდინაცია გაუწიოს ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს საქმიანობის იმ მიზნით, რომ მოსახლეობას მასობრივად შეასწავლონ ცურვა (კერძოდ, სასკოლო ასაკის ბავშვებს როგორც სავალდებულო პროფილაქტიკური ღონისძიება), აგრეთვე წყალში გადარჩენის ხერხები;

დ) ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს სამაშველო სამსახური წყალში ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად მისთვის დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით, აგრეთვე სამაშველო საქმის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაციის მხრივ;

ე) განახორციელოს მოქალაქეთა, ორგანიზაციათა, საწარმოთა და უწყებათა კუთვნილი მცირე ზომის გემების, მათი მისადგომების, სადგომებისა და ბაზა-სადგომების რეგისტრაცია და აღრიცხვა, კონტროლი გაუწიოს მათს ტექნიკურ მდგომარეობას, სწორ ექსპლუატაციასა და უსაფრთხო ნაოსნობას; შეიმუშაოს ამ გემებით სარგებლობის ტექნიკური და საექსპლუატაციო ნორმები და წესები, აგრეთვე დებულებანი მცირე ზომის გემების წამყვანთა (მოყვარულთა) მომზადებისა და გამოცდების ჩაბარების წესის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) განახორციელოს კონტროლი წყალში უსაფრთხოებისადმი;

ზ) მონაწილეობა მიიღოს სამაშველო ტექნიკის, მცირე ზომის გემების ახალი ნიმუშების შექმნაში, სამაშველო სადგურების პროექტების შედგენაში და ხელი შეუწყოს წყალში გადარჩენის თეორიულ პრობლემათა მეცნიერულ დამუშავებას.

3. მის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება:

ა) მოიზიდავს ფართო საზოგადოებრიობას მოსახლეობისათვის ცურვისა და წყალში გადარჩენის ხერხების მასობრივ სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად და საჭირო დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს ამ მუშაობის განხორციელებაში;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონულ შტაბებთან შექმნილ ნებაყოფლობით სამაშველო რაზმეულთა სექციების მუშაობას;

გ) ორგანიზაციას გაუწევს დადგენილი წესით იმ ლიტერატურის, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების, კინოფილმების, დიაფილმების, პლაკატების, სასწავლო პროგრამებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოშვებას, რომლებიც შეეხება წყალში უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას, აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემებს აღნიშნულ საკითხზე;

დ) მონაწილეობას მიიღებს იმ კომისიების მუშაობაში, რომლებსაც შესაბამისი ორგანოები ქმნიან სეზონური წყალმოვარდნის, წყალდიდობის და წყალში მომხდარ სხვა სტიქიურ უბედურებათა დროს;

ე) განახორციელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს წყალსატევებთან განლაგებულ პიონერთა ბანაკებსა და ტურისტულ ბაზებში ბავშვთა უსაფრთხო დასვენების უზრუნველსაყოფად;

ვ) მონაწილეობას მიიღებინებს საქწყალმაშველის აქტივს სამაშველო სადგურების, საგუშაგოების, სამანევრო საძიებო ჯგუფებისა და საუწყებო სამაშველო სადგურებისა და საგუშაგოების მუშაობაში;

ზ) ორგანიზაციას გაუწევს და მოაწყობს ლექციებს, ექსკურსიებს, კონკურსებს, გამოფენებსა და ერთთვიურებს წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საკითხებზე;

თ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მოწინავე გამოცდილებას, პროპაგანდას გაუწევს მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს ამ საქმეში;

ი) მონაწილეობას მიიღებს წყალსპორტის მასობრივ ასპარეზობათა მოწყობაში;

კ) შექმნის მოყვარულ გემის წამყვანთა სრულწლიური ცურვის, ნორჩ მეზღვაურთა და მემდინარეთა სამაშველო მრავალჭიდის ფედერაციებსა და კლუბებს;

ლ) გახსნის (გარდაქმნის, გააუქმებს) დადგენილი წესით სასწავლო ცენტრებსა და სკოლებს ცურვის, წყალში შველის ინსტრუქტორთა და სამაშველო

19.693

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის სხვა სპეციალისტთა მოსამზადებლად, საწყლოსნო ბაზებს და მცირე ზომის გემთა სადგომებს, სამაშველო სადგურებს, საგუშაგოებსა და სამანევრო საძიებო ჯგუფებს;

მ) შექმნის დადგენილი წესით ინდივიდუალური და კოლექტიური სარგებლობის წყალსამაშველო ტექნიკისა და ინვენტარის დამამზადებელ და სარეალიზაციო საწარმოებს სამეურნეო ანგარიშზე;

ნ) საზოგადოების საქმიანობის განვითარებისათვის სახსრების გამოსაძებნად აქვს ნავგასაქირავებელი სადგურების, პუნქტების, საგუშაგოების შენახვის, იჯარისა და ექსპლუატაციის, მცირე ზომის გემების, საბანაოების, პლაჟების, გადასასვლელების, კანჯო-ტაკელაჟის სახელოსნოების, ტექნიკურ საშუალებათა (კატარღების, ნავების, მოტორების და სხვ.) სარემონტო სახელოსნოების და სხვა დამხმარე საწარმოების შექმნის უპირატესი უფლება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ო) განახორციელებს კავშირურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების წყალში მაშველ საზოგადოებებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

4. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება, მისი რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ თავიანთი კუთხოვანი შტამპები და მრგვალი ბეჭდები.

5. საქართველოს წყალში მაშველ საზოგადოებას აქვს ალამი, ემბლემა და ვიმპელი, საზოგადოების წევრებისათვის — სამკერდე ნიშანი, ხოლო სამაშველო სამსახურის მუშაკებისათვის — დადგენილი წესით დამტკიცებული ერთიანი ფორმა.

6. საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს უფლება აქვს შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწევრო წიგნაკთა ნიმუშები, აგრეთვე შეუკვეთოს საწევრო მარკები და მოამარაგოს ამ წიგნაკებითა და მარკებით საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები.

II. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

7. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) ინდივიდუალური წევრები — სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 14 წელი, აღიარებენ საზოგადოების წესდებას და მონაწილეობენ მისი ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში;

ბ) კოლექტიური წევრები — სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე.

შენიშვნა: ის პირნი, რომელთაც ჯერ 14 წელი არ შესრულებიათ, ერთიანდებიან საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებთან არსებულ ნორჩ მაშველთა სექციებში, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული **დებულების საფუძველზე.**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

8. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრებად ინდივიდუალური წესით. იღებენ:

— სსრ კავშირის მოქალაქეებს — პირველადი ორგანიზაციები;

— სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საზოგადოების კოლექტიურ წევრებად — საზოგადოების რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) საბჭოების პრეზიდიუმები.

ორგანიზაციებში, რომლებიც საზოგადოების კოლექტიური წევრები არიან, პარალელურად ხდება ინდივიდუალური მიღება საზოგადოების წევრებად.

9. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების კონფერენციებსა და ყრილობებზე, აგრეთვე საქწყალმაშველის ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგადოების წევრთა საერთო კრებებზე გამოტანილ საკითხთა განხილვაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მიერ მოწყობილ ლაშქრობებსა და ექსკურსიებში, ექსპედიციებში, გამოფენებში, სპორტულ შეჯიბრებებში, კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;

გ) იაროს საქწყალმაშველის კურსებზე, წრეებში, სკოლებში და სპორტულ-ტექნიკურ კლუბებში ცოდნის ამაღლების მიზნით;

დ) იყოს წყალმაშველი საზოგადოების სპორტულ-ტექნიკური და თვითმოქმედი კლუბების, სპორტული კოლექტივებისა და გუნდების წევრი;

ე) მიიღოს საზოგადოების საწყლოსნო ბაზებში დროებითი სარგებლობისათვის შეღავათიან პირობებში გასაქირავებელი ინვენტარი, კანჯოები, იახტები, კატარღები და ა. შ., ისარგებლოს საზოგადოების ბაზებში საზოგადოების წევრთა პირადი ან კოლექტიური საკუთრების მცირე ზომის გემების სადგომით.

ვ) შეიტანოს წინადადებანი საზოგადოების ყველა ორგანოში წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის საკითხებზე.

10. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წევრი მოვალეა:

ა) შეასრულოს ამ წესდების მოთხოვნები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, დაიცვას საზოგადოებრივი დისციპლინა და დროულად გადაიხადოს საწევრო შენატანები;

ბ) განახორციელოს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საზოგადოების როლის, მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ და მიიზიდოს საზოგადოების რიგებში ახალი წევრები;

გ) ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას სამაშველო საქმეში;

დ) შეისწავლოს სამაშველო საქმე, სრულყოს თავისი ცოდნა, მუდამ მზად იყოს, რათა დახმარება აღმოუჩინოს ადამიანებს, რომელთაც უბედურება შეემთხვათ წყალში.

11. საზოგადოების წევრად მიღებულს ეძლევა ერთიანი ნიმუშის საწევრო ბილეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. წყალმაშველი საზოგადოების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მაღალი სასწავლო, სპორტული და სხვა მიღწევებისათვის საზოგადოების წევრები შეიძლება დაჯილდოვდნენ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების საპატიო სიგელით, „საქწყალმაშველის წარჩინებულის“ ნიშნით, ფულადი პრემიითა და ფასიანი საჩუქრებით.

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის ან საზოგადოებაში დიდი ორგანიზატორული მუშაობისათვის საქწყალმაშველის წევრები შეიძლება წარდგენილ იქნენ მთავრობის ჯილდოზე.

13. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდების დარღვევისათვის საზოგადოების წევრთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, მათ შორის საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვა.

გადაწყვეტილებას საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ იღებს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება ან ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭო. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ზემოქმედების მიღებული ზომებისა და საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების ზემდგომ ორგანიზაციებში, მათ შორის ცენტრალურ საბჭოში და საქწყალმაშველის ყრილობაზე.

III. საზოგადოების სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები

14. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ორგანიზაციები იქმნება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე, ნავსადგურებში და ფლოტის გემებზე, სასწავლებლებში, სახლთმმართველობებთან, ქუჩის კომიტეტებთან, სხვა ორგანიზაციებთან და მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე.

15. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის, საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები, აგრეთვე საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატთა არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

საქწყალმაშველის ყრილობა

16. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც ცენტრალური საბჭო იწვევს 4 წელიწადში ერთხელ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

ყრილობის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ ცხადდება არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის გახსნამდე.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმასა და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი.

17. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ყრილობა:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენებებსა და ანგარიშებს და განსაზღვრავს მათს მორიგ ამოცანებს;

ბ) შეცვლის და შეავსებს საზოგადოების წესდებას;

გ) აირჩევს ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ყრილობა;

დ) განიხილავს და გადაწყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს.

18. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭო ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს მის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს. იგი აირჩევა 4 წლის ვადით.

წყალმაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ მაინც.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს რიგგარეშე პლენუმები მოიწვევა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან ცენტრალური საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

19. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობისათვის პლენუმებს შორის პერიოდში ცენტრალური საბჭო ირჩევს საქწყალმაშველის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პასუხისმგებელი მდივანი და პრეზიდიუმის წევრები ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აღმასრულებელ საორგანიზაციო ბიუროს, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტს მიმდინარე საორგანიზაციო, სამეურნეო, საფინანსო საკითხებს და კადრების საკითხებს.

ცენტრალური საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიშებსა და გეგმებს და გადაწყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს.

20. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების საქმიანობას ცენტრალური საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს სამუშაო გეგმებს, საზოგადოების ცენტრალური აპარატისა და ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული საბჭოების სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას, საზოგადოების ბიუჯეტსა და ხარჯთაღრიცხვებს და თვალყურს ადევნებს მათს შესრულებას;

გ) მოიწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს და მოამზადებს მოხსენებებს, ანგარიშებსა და სხვა მასალებს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმის სხდომებისა და საზოგადოების ყრილობისათვის;

დ) დაამტკიცებს საზოგადოების სამაშველო სამსახურის, კლუბების, საცურავლო ცენტრებისა და სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების მუშაობის დებულებებსა და ინსტრუქციებს;

ე) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ანგარიშებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ვ) შექმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს;

ზ) შექმნის აქტივისა და შტატიან მუშაკთა პრემირების ფონდს საზოგადოებაში აქტიური საქმიანობისათვის, აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის;

თ) შექმნის ფონდს საზოგადოების მუშაკთათვის საჭირო მატერიალური დახმარების გასაწევად.

შენიშვნა: საპრემიო ფონდი იქმნება საწევრო შენატანების შემოსვლითა და სხვა სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული საზოგადოების შემოსავლის 7 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო მატერიალური დახმარების ფონდი — 3 პროცენტამდე ოდენობით;

ი) დაამტკიცებს საზოგადოების კრებსით ბიუჯეტს, საბუღალტრო ანგარიშებს, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბალანსს, საზოგადოების საბჭოების ანგარიშებს, კონტროლს გაუწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, განსაზღვრავს ფულადი შემოსავლის გამოყენების წესს;

კ) დაამტკიცებს წყალმაშველი საზოგადოების სტრუქტურას, საშტატო განრიგებს მის საქვეუწყებო დაწესებულებებში, რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებში, სასწავლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში საზოგადოებისათვის დაწესებული მუშაკთა რიცხოვნობის, ხელფასისა და თანამდებობრივი სარგოების ფონდების ფარგლებში;

ლ) განაგებს საზოგადოების საქმეებს, ქონებასა და სახსრებს და ახორციელებს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის უფლებებს, გამოსცემს დადგენილი წესით სააგიტაციო და თვალსაჩინო საშუალებებს;

მ) დაამტკიცებს დადგენილი წესით საზოგადოების ბეჭდების, შტამპების, საწევრო ბილეთების, ემბლემის, საწევრო მარკებისა და სხვა ნიშნების ნიმუშებს;

ნ) წარმოადგენს საქართველოს წყალში მაშველ საზოგადოებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

21. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სახელით ყველა მითითებას, ხელშეკრულებას, ვალდებულებასა და დავალებას ხელს აწერს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ან მისი მოადგილეები.

ფულად დოკუმენტებს ხელს აწერენ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (მისი მოადგილეები) და მთავარი ბუღალტერი.

თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების, მისი ცენტრალური საბჭოსა და პრეზიდიუმის სახელით სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები

22. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები, რომლებიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

კონფერენციის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ ცხადდება არა უგვიანეს ერთი თვისა კონფერენციის გახსნამდე.

რიგგარეშე კონფერენციები შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმას და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების შესაბამისი საბჭო.

კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც.

23. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების კონფერენციები განიხილავენ და დაამტკიცებენ შესაბამისი ადგილობრივი საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების ანგარიშებს, აირჩევენ რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებსა და სარევიზიო კომისიებს შესაბამისი კონფერენციის მიერ განსაზღვრული წევრთა რაოდენობით.

24. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალქაო და რაიონული საბჭოები აირჩევა ორი წლის ვადით და კონფერენციებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობენ საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ) საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას.

25. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციათა საქმიანობის საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხებს განიხილავენ მორიგ პლენუმებზე, რომლებსაც ამ საბჭოების პლენუმები მოიწვევენ წელიწადში ორჯერ მაინც.

26. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო ან რაიონული საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს.

27. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული კონფერენცია:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს შესაბამისი საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, დასახავს საზოგადოების ორგანიზაციათა მორიგ ამოცანებს;

ბ) აირჩევს საზოგადოების საბჭოსა და სარევიზიო კომისიას;

გ) განიხილავს წყალმაშველი საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოებისა და საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციის საბჭოს მიერ შეტანილ საზოგადოების საქმიანობის საკითხებს;

დ) აირჩევს ზემდგომი კონფერენციების ან საქწყალმაშველის ყრილობის დელეგატებს.

28. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო საბჭოები ხელმძღვანელობენ საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციებს, ამოწმებენ მათს საქმიანობას და პერიოდულად ისმენენ საბჭოების ანგარიშებს, წარმოადგენენ წყალმაშველ საზოგადოებას სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

29. წყალმაშველი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს პლენუმის დადგენილებები მტკიცდება ხმის უმრავლესობით თუ ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი, და სრულდება საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

30. წყალმაშველი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოს პლენუმი ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და პრეზიდიუმის წევრები პლენუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

31. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) პლენუმებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობას;

ბ) დაამტკიცებს ანგარიშებს საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ;

გ) განიხილავს საზოგადოების საქალაქო, რაიონულ და პირველად ორგანიზაციათა მუშაობის მდგომარეობას;

დ) დაამტკიცებს საქალაქო, რაიონული საბჭოების წლიურ, კვარტალურ გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას;

ე) მოამზადებს საბჭოს პლენუმზე და საზოგადოების წევრთა კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს;

ვ) განაგებს საზოგადოების ორგანიზაციათა საქმეებს, ქონებასა და სახსრებს;

ზ) წარმოადგენს საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო ორგანიზაციას სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) შეასრულებს რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო საბჭოს სხვა ფუნქციებს, გარდა საბჭოს პლენუმისა და კონფერენციის კომპეტენციისათვის განკუთვნილი ფუნქციებისა;

ი) დააჯილდოებს გარდამავალი წითელი დროშით, ფულადი პრემიით, ვიმპელებითა და საპატიო სიგელებით საქვეუწყებო საბჭოებს საზოგადოების გეგმების შესრულების საქმეში საუკეთესო შედეგებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის;

კ) დააჯილდოებს ვიმპელებითა და საპატიო სიგელებით საზოგადოების საუკეთესო პირველადს ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მუშაკებსა და საზოგადოების წევრებს მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

32. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარე.

33. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო საბჭოს თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე) განაგებს საბჭოს სახსრებს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული ოპერატიული საფინანსო გეგმის ფარგლებში.

34. რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო საბჭოებს უფლება აქვთ დადონ ხელშეკრულებანი, იკისრონ ვალდებულებანი, მოითხოვონ და უპასუხონ სასამართლოს მეშვეობით, მიიღონ საჩუქრად ქონება ანდერძით ცალკეული პირებისა და ორგანიზაციებისაგან.

საქწყალმაშველის შესაბამისი ქვემდგომი საბჭოს (რომელიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობს) ვალისათვის საზოგადოების ზემდგომი საბჭო პასუხს არ აგებს.

35. საზოგადოების საბჭოს ფულად დოკუმენტებს, დავალებებს საბჭოს სახელით ხელს აწერენ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე) და ბუღალტერი.

36. წყალმაშველი საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) პლენუმებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობას ქალაქში, რაიონში;

ბ) შექმნის საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებს, აწარმოებს საზოგადოების წევრთა აღრიცხვას, უზრუნველყოფს საწევრო შენატანების დროულად შემოსვლას პირველადი ორგანიზაციებისა და კოლექტიური წევრებისაგან;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონულ შტაბებთან შექმნილი რაზმელ-მაშველთა სექციების მუშაობას;

დ) კონტროლს გაუწევს საუწყებო სამაშველო საგუშაგოების მიერ სამსახურის შესრულებას;

ე) დამოუკიდებლად ან საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით დახმარებას აღმოუჩენს მოსახლეობას წყალდიდობისწინა და წყალდიდობის პერიოდში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სოფლად მუშაობის ოპერატიულობის უზრუნველყოფის მიზნით ადგილ-ჩევს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით წყალმაშველი საზოგადოების რწმუნებულებს მშრომელთა დეპუტატების თითოეულ სასოფლო საბჭოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე;

ზ) მოისმენს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ანგარიშებს, აგრეთვე განიხილავს საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საქმიანობის სხვა საკითხებს.

საქწყალმაშველის პირველადი ორგანიზაციები

37. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების საფუძველია პირველადი ორგანიზაციები. ისინი იქმნება ქარხნებში, ფაბრიკებში, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სკოლებში, სახლთმმართველობებთან და ა. შ., თუ ჰყავთ საზოგადოების სულ ცოტა სამი წევრი.

წყალმაშველი საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებთან სკოლებში იქმნება ნორჩ წყალმაშველთა სექციები „ნეპტუნი“ — თვითმოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და კონტროლით. სექციის წევრებად მიიღებიან ბავშვები და მოზარდები პირველი კლასიდან. მათ ეძლევათ საწევრო ბილეთი და ნიშანი „ნორჩი წყალმაშველი“.

სექციების მუშაობას საფუძვლად უდევს შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედი კლუბის „ნეპტუნის“ პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს სრულიად საკავშირო კლუბის „ნეპტუნის“ ცენტრალური შტაბი და საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

38. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

39. საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 50-ზე მეტი წევრია, მიმდინარე მუშაობის განსახორციელებლად საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით ირჩევენ საბჭოსა და სარევიზიო კომისიას ერთ წლამდე ვადით. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანსა და ხაზინადარს.

სარევიზიო კომისია ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 50-ზე ნაკლები წევრია, ირჩევენ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მდივანსა და რევიზორს.

საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 100-ზე მეტი წევრია (დიდი ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, უმაღლესი სასწავლებლები, დაწესებულებები), საჭიროების კვალობაზე საზოგადოების შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება შეიქმნას ძირეული ორგანიზაციები (უჯრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები) საამქროების, უბნების, განყოფილებების, ფაკულტეტების, ფერმების, ბრიგადების, საცხოვრებელი კვარტალების (მიკროორაიონების) მიხედვით.

საზოგადოების პირველად ორგანიზაციებში, სადაც 300-ზე მეტი წევრია, დელეგატები საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) შეიძლება არჩეულ იქნენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოების მიერ დადგენილი რაოდენობით.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოებში მუშაობას, როგორც წესი, ეწევიან გაუთავისუფლებელი მუშაკები. პირველად ორგანიზაციებში, რომლებიც საზოგადოების 5000-ზე მეტ წევრს აერთიანებენ, შეიძლება დაწესდეს საზოგადოების საბჭოების შტატიან მუშაკთა თანამდებობანი წყალმაშველი საზოგადოების ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით.

40. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას ახორციელებენ აქტივის ფართო მონაწილეობით, ადგილობრივ საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

41. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ამოცანები ის არის, რომ:

ა) მიიზიდონ მოსახლეობა საზოგადოების წევრებად;

ბ) აწარმოონ საზოგადოების წევრთა პერსონალური აღრიცხვა და უზრუნველყონ საზოგადოების წევრთაგან შენატანების დროულად მიღება;

გ) ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას საზოგადოების მიზნები და ამოცანები და წყალში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებანი;

დ) უზრუნველყონ საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობა წყალში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ღონისძიებებში;

ე) ხელი შეუწყონ საზოგადოების წევრთათვის, მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით მოსწავლეთათვის ცურვის, წყალწაღებულთა გადარჩენის ხერხებისა და მეთოდების და წყალში უბედური შემთხვევებისას პირველი სამედიცინო დახმარების გაწევის წესების მასობრივ სწავლებას;

ვ) შექმნან მაშველთა ჯგუფები საზოგადოების წევრი აქტივისტებისაგან, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოება მასობრივი ბანაობის ადგილებში კოლექტივების მასობრივი გასვლისა და წყალზე სპორტული და სხვა ღონისძიებების განხორციელებისას;

ზ) ხელი შეუწყონ სამაშველო სამსახურს მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში;

თ) გაავრცელონ სამეცნიერო-პოპულარული და ტექნიკური ლიტერატურა წყალში შველისა და წყალმაშველი საზოგადოების საქმიანობის საკითხებზე;

ი) მოაწყოს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მასობრივ ღონისძიებებში (გამოფენები, ლაშქრობები, წყალში უსაფრთხოების ერთთვიურები და ა. შ.).

42. პირველადი ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს ეკისრება:

ა) დაგეგმოს მუშაობა, შეადგინოს და შეასრულოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოიწვიოს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებები;

გ) შეარჩიოს და დაამტკიცოს საწევრო შენატანების ამკრეფები;

დ) უხელმძღვანელოს საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მუშაობას;

ე) აწარმოოს პირველადი ორგანიზაციის წევრთა სია დაწესებული ფორმის მიხედვით;

ვ) მიიღოს ზომები სარევიზიო კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გამო;

ზ) წარუდგინოს საზოგადოების ზემდგომ საბჭოს ანგარიშები, საჭირო ცნობები და მასალები პირველადი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ;

თ) დროულად გადაურიცხოს საზოგადოების შესაბამის ზემდგომ საბჭოს შესასვლელი და საწევრო შენატანები, საწევრო ბილეთების, სამკერდე ნიშნების, ლიტერატურისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციისაგან მიღებული ფული;

ი) წარადგინოს ანგარიშები დაწესებულ ვადებში;

კ) წარადგინოს წასახალისებლად აქტივისტები, რომლებიც თავს გამოიჩენენ წყალმაშველი საზოგადოების მუშაობაში.

საზოგადოების კოლექტიური წევრები. მათი უფლება-მოვალეობანი

43. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დაწესებულებები, კოოპერაციული, სავაჭრო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან.

44. საზოგადოების კოლექტიურ წევრებად სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს იღებენ მათი განცხადებების მიხედვით წყალმაშველი საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები.

45. საზოგადოების კოლექტიური წევრები იხდიან შესასვლელ და ყოველწლიურ საწევრო შენატანებს იმ ოდენობით, რომელსაც ერთობლივად აწესებენ საზოგადოების კოლექტიური წევრი და საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის შესაბამისი საბჭო (პრეზიდიუმი).

46. საზოგადოების კოლექტიურ წევრს ეძლევა დაწესებული ნიმუშის საწევრო ბილეთი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საზოგადოების კოლექტიურ წევრად მისი მიღების შესახებ.

47. საზოგადოების კოლექტიური წევრები:

ა) მონაწილეობენ გამოფენებში, დათვალიერებებსა და საზოგადოების სხვა ღონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავენ წყალში უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის ზომების გაძლიერებას;

ბ) აქტიურად ეხმარებიან საზოგადოების ორგანიზაციებს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, მდინარეებში, ტბებსა და წყალსატევებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აქტიურად მონაწილეობენ პლაჟების, საბანაოების მშენებლობაში, წყალთან დასასვენებელი ადგილების კეთილმოწყობაში;

დ) დროულად იხდიან დაწესებულ საწევრო შენატანებს.

საზოგადოების სარევიზიო კომისიები

48. სარევიზიო კომისიებს ირჩევენ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ყრილობა, საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციები ღია კენჭისყრით იმ პირთაგან, რომლებიც არ შედიან საზოგადოების საბჭოს შემადგენლობაში და არ მუშაობენ შესაბამისი საბჭოს აპარატში.

სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ყრილობა, კონფერენცია, პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება.

შენიშვნა: პირველადს ორგანიზაციებში, სადაც საზოგადოების 50-ზე ნაკლები წევრია, ირჩევენ რევიზორს.

49. სარევიზიო კომისია ღია კენჭისყრით ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

50. სარევიზიო კომისია და რევიზორი ანგარიშს აბარებენ საზოგადოების ყრილობას, კონფერენციას, პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებას კუთვნილებისამებრ და წყალმაშველი საზოგადოების ზემდგომ ორგანოს.

სარევიზიო კომისიის სხდომები მოიწვევა საჭიროების კვალობაზე.

51. სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით შესაბამისი საბჭოს თათბირებში, პლენუმებში, პრეზიდიუმის სხდომებში.

52. სარევიზიო კომისია, საზოგადოებრივი რევიზორი:

ა) რევიზიას გაუწევენ საზოგადოების შესაბამისი საბჭოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

ბ) შეამოწმებენ, თუ როგორ ასრულებენ საზოგადოების საბჭო და მისი პრეზიდიუმი საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ ამოცანებს, საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ყრილობის, კონფერენციების, პლენუმების, პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების დადგენილებებს და საბჭოს მუშაობის გეგმებს, რომლებიც რევიზიას ექვემდებარებიან.

53. ცენტრალური და რესპუბლიკური (ასსრ) საბჭოების რევიზიები მოეწყობა საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.

54. წყალმაშველი საზოგადოების საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების რევიზიები ეწყობა წელიწადში ორჯერ მაინც.

55. სარევიზიო კომისიის დადგენილებანი, მისი წინადადებანი რევიზიის ჩატარებისა და გამორკვევათა თაობაზე უნდა განიხილონ სარევიზიო კომისიის მოთხოვნით პრეზიდიუმის სხდომებზე, პლენუმებზე ან საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებებზე.

56. სარევიზიო კომისია თავისი მუშაობისათვის იყენებს საზოგადოების შესაბამისი საბჭოს აპარატს. მის საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯები გაიღება საბჭოს სახსრებიდან და შეიტანება მის ხარჯთაღრიცხვაში.

IV. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სამაშველო სამსახური

57. სამაშველო სამსახური როგორც ცენტრში, ისევე ადგილებზე წყალმაშველი საზოგადოების საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფია.

სამაშველო სადგურები და საგუშაგოები ადგილებზე ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და წყალმაშველი საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს.

58. თავის პრაქტიკულ საქმიანობაში სამაშველო სამსახური ხელმძღვანელობს საზოგადოების წესდებით, ცენტრალური საბჭოს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით, აგრეთვე საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სამაშველო სამსახურის დებულებით.

V. საზოგადოების ფულადი სახსრები

59. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ფულადი სახსრებია:

ა) საზოგადოების წევრთა შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შენატანები;

ბ) სამრეწველო საწარმოების, მცირე ზომის ფლოტის ინსპექციის, სარემონტო სახელოსნოების, სპორტული ნაგებობების, ფასიანი სკოლების, კურსების სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის, აკვატორიებისა და პლაჟების გაწმენდის სამუშაოთა შემოსავალი, წყალმაშველი საზოგადოების საქმიანობის გაუმჯობესებით დაინტერესებული სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების ფულადი შენატანები;

გ) ნებაყოფლობითი და სხვა შენატანები.

60. საზოგადოების წევრ მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა და ტექნიკუმთა მოსწავლეებს საწევრო შენატანები უწესდებათ 30 კაპიკის ოდენობით წელიწადში, ხოლო საშუალო სკოლების მოსწავლეებს, დიასახლისებსა და პენსიონერებს — 10 კაპიკი წელიწადში.

საზოგადოების წევრად გახდომისას შესასვლელი შენატანი წესდება 10 კაპიკის ოდენობით, აგრეთვე ნაზღაურდება საწევრო ბილეთის ბლანკის ღირებულება.

61. საზოგადოების კოლექტიური წევრი შესასვლელ და ყოველწლიურ საწევრო შენატანებს იხდის იმ ოდენობით, რომელსაც ერთობლივად განსაზღვრავენ საზოგადოების კოლექტიური წევრი და საზოგადოების შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმი.

62. მთელი შესასვლელი და საწევრო შენატანები, აგრეთვე წყალმაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს, რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის შემოსავალი ჩაირიცხება ამ საბჭოების მიმდინარე ანგარიშებზე.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის წყალმაშველი საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოები შემოსულ სახსრებს გადარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხავენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის წყალმაშველი საზოგადოების საბჭოების მიმდინარე ანგარიშებზე.

63. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების წყალმაშველი საზოგადოების საბჭოები მათს ანგარიშებზე შესული სახსრების ნაწილს ყოველწლიურად გადაურიცხავენ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს იმ ოდენობით, რაც დაწესებულია საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ბიუროს მიერ.

64. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების საქვეუწყებო საბჭოები დროულად არ გადაურიცხავენ საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს ფულად სახსრებს, ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს უფლება ეძლევა უდავო წესით ჩამოსწეროს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულების მეშვეობით ეს სახსრები ცენტრალური საბჭოს საქვეუწყებო დაწესებულებათა და საწარმოთა ანგარიშებიდან.

65. საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები მთელ ხარჯებს ეწევიან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების ზუსტი შესაბამისობით, მათ მიერ შემოსავლის სახით მიღებული სახსრებიდან.

66. ჭარბი შემოსავლის შედეგად მიღებული სახსრები საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამოიყენება:

ა) მშენებლობისა და ინვენტარის და საჭირო მოწყობილობის შეძენის დასაფინანსებლად;

ბ) კაპიტალური დაბანდებისა და საჭირო ქონების შესაძენად ერთიდან ხუთ წლამდე ვადით საზოგადოების საბჭოებისათვის კრედიტების მისაცემად.

კრედიტების გაცემა ფორმდება ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საბჭოების შესაბამისი ვალდებულებებით, ხოლო კრედიტები იფარება ვალდებულებებში აღნიშნულ ვადებში;

გ) კადრების მოსამზადებლად;

დ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საორგანიზაციო-მასობრივი, სპორტული და სხვა ღონისძიებებისათვის;

ე) საზოგადოების მუშაკთა და ცალკეულ წევრთა პრემირებისათვის საგეგმო დავალებების შესრულებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა პრემირებისათვის, რომლებმაც გამბედაობა და მამაცობა გამოიჩინეს წყალწაღებულთა გადარჩენისას;

ვ) საზოგადოების შტატიანი მუშაკებისა და აქტივისტებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

67. საპრემიო ფონდისა და მატერიალური დახმარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის დებულებას განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68. საზოგადოების წლიური ანგარიშის განხილვისა და დამტკიცებისაგან დეგ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს თავისუფალი ფულადი ნაშთები წლის დამლევისათვის.

69. საზოგადოების მთელი ფულადი სახსრები ინახება მიმდინარე ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის მშენბანკის ადგილობრივ განყოფილებებში ან შემნახველ სალაროებში.

70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 თებერვლის № 73 დადგენლიების შესაბამისად სამაშველო სამსახურების დაფინანსება და შენახვა როგორც ცენტრში, ისევე ადგილებზე ხორციელდება „კომუნალური მეურნეობის“ დარგით ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე.

კრედიტების გამანაწილებლად დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში ითვლება საზოგადოების შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

VI. საზოგადოების ემბლემა და ალამი

71. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) ემბლემა არის მაშველი რგოლის გამოსახულება, რომლის ზედა ნახევარი შეღებილია თეთრად და ნარინჯისფერი ასოებით აწერია „წყალმაშველი“, ხოლო ქვედა ნაწილი — ნარინჯისფერია და თეთრი ასოებით აწერია „საქართველოს სსრ“. მაშველი რგოლის ცენტრში გამოსახულია წითელი ჯვარი ორი გადაჭდობილი ღუზისა და მუქი ლურჯი შტურვალის ფონზე.

ემბლემა განკუთვნილია საზოგადოების ყველა ორგანიზაციის ბეჭდებზე, გარდამავალ დროშებზე, პლაკატებზე, წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებზე, მატერიალურ ნაწილსა და საზოგადოების ფირნიშებზე გამოსახვისათვის.

72. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ალამი ღია ცისფერი ქსოვილისაა, აქვს სწორკუთხედის ფორმა, რომლის გვერდების თანაფარდობაა 2:1 (180:90 სმ). ალმის წინა მხარეს ცენტრში გამოსახულია საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ემბლემა, ზემოთა მარცხენა კუთხეში — საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი.

VII. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

73. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოება შეწყვეტს თავის საქმიანობას:

ა) საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

104 საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატისათვის ხან-საბა ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შუამდგომლობა და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოს მას სულხან-საბა ორბელიანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 9 დეკემბერი, № 651

105 „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების მე-2 პუნქტის მესამე აბზაცის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მათი საქვეუწყებო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მოგების იმ ანარიცხების 15 პროცენტი . . .“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 12 დეკემბერი, № 655

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 ჯანმრთელობის დაცვის ხაზით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად დამატები თი საკითხების გადაცემის შესახებ

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების უფლებათა განმტკიცების, საკითხების უფრო ოპერატიულად გადაწყვეტისა და კონტროლის დაწესების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაამტკიცონ მათი ბიუჯეტით დაფინანსებული ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შტატები — მოცემული წლისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდის, მოქმედი საშტატო ნორმატივებისა და ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ნორმატივების გადამეტებით შტატების დამტკიცება, რაც გამოწვეულია მუშაობის მოცულობის, დაწესებულების ხასიათისა და თავისებურებათა გათვალისწინებით, დარჩეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უფლებაში.

დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეუფერხებლად უზრუნველყოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები სათანადო ნორმატიული მასალებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 25 დეკემბერი. № 681

107 თბილისის კომუნალური გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 მაისის № 231 დადგენილების შესაბამისად შექმნილი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა მთავარი სამმართველო აღნიშნული აღმასკომის თბილისის კომუნალურ გაერთიანებად და გავრცელდეს მასზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულების მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ამ მასკომს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტი დებულებისა თბილისის კომუნალური გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 25 დეკემბერი, № 682

108 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„141. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 25 დეკემბერი, № 683

ეროვნული ბიბლიოთეკა

119 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„142. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 27 დეკემბერი, № 692

110 საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და ნომენკლატურის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თანდართული დებულება და ამავე საბჭოს და მისი ბიუროს ნომენკლატურა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ნოემბრის № 672 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 27 დეკემბერი, № 693

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 27 დეკემბრის № 693
დადგენილებით

საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს

დებულება

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭო არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან.

2. საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭო ახორციელებს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციას საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

3. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (საბჭოს თავმჯდომარე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფლების უფროსი (თავმჯდომარის მოადგილეები), აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკის სხვა სამინისტროების, უწყებათა და უმაღლესი სასწავლებლების პასუხისმგებელი მუშაკები.

საკოორდინაციო საბჭოსა და საბჭოს ბიუროს ნომენკლატურას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

4. საკოორდინაციო საბჭოს უმაღლესი ორგანოა საბჭოს სესია, რომლის მოწვევა ხდება წელიწადში ერთხელ მაინც.

5. სესიებს შორის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობას წარმართავს საბჭოს ბიურო შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნები და საკოორდინაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ბიურო თავისი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესახებ მოახსენებს საბჭოს უახლოეს სესიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოორდინაციო საბჭოსა და საბჭოს ბიუროს პირად შემადგენლობაში მეცნიერებ-ტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი,

6. საკოორდინაციო საბჭო თავის მუშაობას ახორციელებს სამეცნიერო საბჭოების მეშვეობით.

7. საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მიიღება საბჭოს წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

II. საბჭოს ძირითადი ამოცანები

8. სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოებსა და დაწესებულებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან, რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებებისა და პრობლემების მიხედვით.

9. სამეცნიერო-საორგანიზაციო ღონისძიებების შემუშავება რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო მიმართულებების განვითარების მიზნით.

10. რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში დახმარების აღმოჩენა.

11. რესპუბლიკაში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მოპოვებული მიღწევების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში გამოყენებისათვის ხელის შეწყობა.

12. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად საკოორდინაციო საბჭო:

ა) იხილავს რესპუბლიკაში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში გამოკვლევების ორგანიზაციის ზოგად საკითხებს;

ბ) ამზადებს მასალებს რესპუბლიკაში სამეცნიერო კვლევის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ;

გ) შეაქვს წინადადებანი რესპუბლიკაში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წამყვანი მიმართულებებისა და პრობლემების მიხედვით გამოკვლევათა განვითარების შესახებ;

დ) ამზადებს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საკოორდინაციო გეგმების პროექტებს და ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

ე) შეისწავლის და განაზოგადებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის, დაგეგმვისა და კოორდინაციის გამოცდილებას, ამუშავებს ღონისძიებებს სამეცნიერო გამოკვლევათა კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის;

ვ) იხილავს იმ დაწესებულებათა წრეს, რომლებმაც უნდა აწარმოონ კვლევა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამა თუ იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიხედვით და მათი რიცხვიდან აკადემიის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგენს წამყვან სამეცნიერო დაწესებულებას, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც დაევალება სამეცნიერო საბჭოს საორგანიზაციო-ტექნიკური დანიშნულებისა ფინანსური უზრუნველყოფა;

ზ) დახმარებას უწევს უმაღლეს სასწავლებლებსა და დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ახალი მეთოდების ათვისებასა და საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებებისა და პრობლემების მიხედვით კვლევათა ჩატარებაში;

თ) ხელს უწყობს სამეცნიერო ურთიერთკავშირის დამყარებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოებსა (სექციებსა) და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების სამეცნიერო საბჭოებს შორის;

ი) ხელს უწყობს სამეცნიერო ურთიერთკავშირის დამყარებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებსა, რესპუბლიკის დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის;

კ) გამოავლენს მნიშვნელოვან მეცნიერულ შრომებს და იძლევა რეკომენდაციას მათ გამოსაქვეყნებლად;

ლ) დადგენილი წესით იწვევს სამეცნიერო კონფერენციებს, სესიებს, თათბირებს მეცნიერების მნიშვნლოვანი დარგებისა და კომპლექსური პრობლემების მიხედვით მიღებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგებისა და კვლევითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური გეგმების განსახილველად.

III. საკოორდინაციო საბჭოს უფლებები

საკოორდინაციო საბჭოს მოქმედება ვრცელდება ყველა, მათ შორის საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებელზე, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებობენ, საბჭოს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობას, რომლებიც კვლევას აწარმოებენ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესაბამის დარგში; მათგან მოითხოვოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტები და გამოკვლევათა შედეგების ანგარიშები; მოისმინოს სამეცნიერო საბჭოების ანგარიშები;

ბ) მოითხოვოს ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) შეიტანოს წინადადებები სამინისტროებისა და უწყებების გეგმებში იმ ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ჩართვის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემების დამუშავებასთან;

დ) შეიტანოს რეკომენდაციები არაპერსპექტიულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შეწყვეტისა და მათი დაფინანსების დახურვის შესახებ;

ე) შეიტანოს წინადადებები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელის მოწესრიგების, მათი სამეცნიერო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და ახალი სამეცნიერო დაწესებულებების ორგანიზაციის შესახებ;

ვ) შეიტანოს წინადადებები ახალი სამეცნიერო საბჭოების შექმნის შესახებ იმ პრობლემების მიხედვით, რომლებიც ვითარდება რესპუბლიკაში, აგრეთვე წინადადებანი სამეცნიერო საბჭოების გაუქმების შესახებ, რომლებმაც დაამთავრეს გამოკვლევები პრობლემაზე ან რომლებიც ვერ ახორციელებენ სათანადო კოორდინაციას პრობლემის მიხედვით.

13. რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები ვალდებული არიან შეასრულონ საკოორდინაციო საბჭოსა და მისი ბიუროს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.

14. სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭო მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ ატყობინებს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან შეიტანონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმაში შესაბამისი ცვლილებები და კორექტივები.

IV. საკოორდინაციო საბჭოს დაფინანსება და აპარატი

15. საბჭოს საქმიანობის დაფინანსება ხდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიუჯეტით.

16. საბჭოს განკარგულებაშია სამეცნიერო და დამხმარე აპარატი, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატის ნაწილს წარმოადგენს, იგი საბჭოსა და მისი ბიუროს დავალებით ზედამხედველობას უწევს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 27 დეკემბრის № 693
დადგენილებით

საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს ნომენკლატურა

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — თავმჯდომარე.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები — თავმჯდომარის მოადგილეები

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი — თავმჯდომარის მოადგილე.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე — თავმჯდომარის მოადგილე.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი — თავმჯდომარის მოადგილე.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა თავმჯდომარეები.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

9. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

11. საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

12. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

13. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

15. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

16. საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

17. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

18. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

22. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების დირექტორები.

23. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.

24. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი სამეცნიერო ნაწილში.

25. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი სამეცნიერო ნაწილში.

26. სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი.

27. სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

29. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

30. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

31. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

32. საბჭოს სწავლული მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 27 დეკემბრის № 693
დადგენილებით

საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს ბიუროს ნომენკლატურა:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — თავმჯდომარე.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები — თავმჯდომარის მოადგილეები.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი — თავმჯდომარის მოადგილე.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე — თავმჯდომარის მოადგილე.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი — თავმჯდომარის მოადგილე.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა თავმჯდომარეები.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

11. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

12. საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი.

13. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი.

14. თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

15. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მედიცინისა და საბუნებისმეტყველო განყოფილების უფროსი.

17. საბჭოს სწავლული მდივანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდეკსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 за 1974 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 199 უე 04506 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 ნ 24/102

ეროვნული
ბიბლიოთეკა